კვირა, 1 ოქტომბერი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 25 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკის მათრახი

№ 40

1917

— კაცო, მთელი ქვეყანა ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორებაზე ფიქრობს და თქვენ ახლა აღადგინეთ ავტოკეფალია?

— რასაკვირველია. მაშ რომ არ აღგვედგინა, რა უნდა ჩამოგვეშორებია სახელმწიფოდან?

მსხვილი ვაჭარი

ჩემის აზრით, შემცდარია ის შეხედულობა, თითქო მსხვილი ვაჭარი, უთუოდ მსხვილი იყოს, როდესაც კარიკატურისტები მსხვილ ვაჭრებს გაბერილებსა ხატავენ, ამით ერთგვარი პროპორციის აღდგენა სურთ და ამ კეთილი სურვილით მკითხველნი შეცდომაში შეჰყავთ.

თფილისის მილიციის უფროსმა, ივანე კაჩუხოვმა, სავსებით დამტკიცა და დასაბუთა ჩემი შეხედულება მსხვილ ვაჭართა შესახებ. მან შეიმუშავა ფრიად საგულისხმო ფორმულა:

— მსხვილი ვაჭარი პირდაპირ პროპორციონალურია თავისი სავაჭროსი.—

ეს დებულება თქვენთვის უფრო გასაგები მაშინ იქნება, როცა გაითვალისწინებთ თვით სავაჭროს ფორმულას.

— სავაჭრო დაწესებულება მსხვილ ვაჭართა ქვემოთ სავსეა, ზემოდან ცარიელი.

ამგვარათ, ყოველი მსხვილი ვაჭარი ცოცხალი, მოარული კოპია მისივ სავაჭრო დაწესებულებისა: ქვემოთ სავსე, ზემოდან ცარიელი.—

თქვენ მოგეხსენებათ, მოწყალენო ხელმწიფენო, რომ სავაჭრო დაწესებულება მსხვილ ვაჭართა ორი: ზემო და ქვემო სართულისაგან შესდგება. ზემო სართულს მაღაზია ეწოდება; ქვემოს კი საწყობი. უმეტეს შემთხვევაში ეს ორი განყოფილება ერთსა და იმავ შენობაშია, ხშირათ კი სხვა და სხვა ალაგასაც ეს უკანასკნელი უფრო ძვირია, მაგრამ უფრო სასარგებლოც.

როდესაც საქონლის ფასი აიწევს, მაშინ საქონელიც ზევით აიწევს და საწყობიდან მაღაზიაში ამოვა.

როდესაც ფასი დაიწევს, საქონელიც მაღაზიიდან დაბლა დაიწევს და საწყობში გადიბარგება.

დღეს დღეობით ეს კანონი „ასევა ჩამოსვლისა“ თვალსაჩინოთ დაირღვა. მიუხედავათ საქონელზე ფასების აწევისა, იგი მაინც ზედა სართულიდან ქვედაში გადაბარგდა. ეს გარემოება ერთობ ეუცხოვა სხვათა შორის მილიციის უფროსსაც და განიზრახა საკითხის გამორკვევა. ამ მიზნით მან ჩამოიარა ზოგიერთი მსხვილი ვაჭრები და აი რა გამოირკვა:

სავაჭრო ჩილინგაროვისა. მაღაზია, (ანუ ზედა სართული) ცარიელია. საწყობი, (ანუ ქვედა სართული) სავსეა. იქ აწყვია ჩითეულობა 150000 მანეთისა. 6 დიდი შეკვრა, გასაგზავნათ დამზადებული (ფას დაუდები), აგრეთვე ბამბის ნაქსოვი 260000 მანეთისა.

დღეს, როდესაც ჩითეულობის ფასი ეგზომ აწეულია, საქონლის მაღაზიიდან საწყობში გადატანა გაუგებარი იქნებოდა, თუ რომ მაღაზიის გამგეს თავისი საგულისხმო განმარტება არ მიეცა კომისარისათვის. აი ის განმარტებაც:

— ჩვენ არა ვყიდით ჩითეულობას იმიტომ, რომ ხშირად მოდიან სალდათის ფორმაში გადაცმული ჩარჩები და თხოულობენ დიდძალ საქონელს. თუ მათ უარი ვუთხარით, მაშინ პოგრომს მოახდენენ, ხოლო თუ მივეცით, მაშინვე ჩვენ თვალ წინ გაჰყიდიან სამწილ ფასად.

ეს განმარტება იმ ზომ მოსწონებია ბ-ნ კომისარს, რომ ცალკე ჩაუწერია ოქმში, რათა მომავალ თაობას არ დაეკარგოს მისი სიბრძნე.

იმავ ჩილინგაროვის საფართლო სავაჭროს ქვედა სართულში აღმოჩენილა 59 წყვილი კალოში და 21500 ცალი პაპიროსი. კალოშები მას ალბათ თავისი ოჯახობისათვის სჭიროდა, მაგრამ პაპიროსების დანიშნულება ჯერაც გამოურკვეველია.

ჩვენ დღეს დღეობით დავკმაყოფილდებით ამ ერთი მაგალითით. თფილისში ბევრმა იცის, ვინაიდან ამისათვის გეოლოგობა არ არის საჭირო, რომ ჩვენი ქალაქი გაშენებულია არა თიხნარ ნიადაგზე, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ ბამბეულ, შალეულ, და სურსათეულ ნიადაგზე. მილიციის უფროსი ენერგიულათ მოეკიდა ამ ნიადაგის გამოკვლევის საკითხს, მაგრამ მუშაობა მოულოდნელათ შეაჩერებინეს.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს საქმე დაგვირგვინდება და თფილისელ მსხვილ ვაჭართა სავაჭრო დაჰკარგავს მათ პატრონთა მსგავსებას, ე. ი. გახდება ზემოდან სავსე, ქვემოთ კი ცარიელი.

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეჰრეკილის“ ლექსები.

(საქუთაისო)

1

ოუ ჩელა, სიჩეჩელა
ოდელია ია-უა,
(ლოტბარობა და ლოლუა!!!)
მომღერლების გუნდი „ხროი“,
(რა ცუდია ჩვენი დროი.)
სიმღერები მარგალური
ვერ აიტანს სმენას ყური.
მარგალია კოჩი ძუკუ
მას ქორთული „ვარ ვა უკუ“.
ქუთაისი იმერული,
კონცერტი კი მარგალული...
კონცერტი და რა კონცერტი
საუცხოვო, ჯგირი, ჯგირი,
მომხიბვლელი გასაკვირი!
(კასრაძე და მისი ვირი!)
იმედაშვილის შექება,
(არ გეგონოთ თქვენ ხუმრობა)
იმედაშვილს ვინ არ იცნობს
„კრიტიკოსს და ლიტერატორს“
პოეტების მედიპლომეს
„შესანიშნავ აგიტატორს“...
ხო და მისი ქება, ხოტბა
ეს დიდ რამე ჯილდოს უდრის
(რო თქვას კაცმა კიტრათ კი ღირს!)
(რა ცუდია თავს რო გიქრის!)
წვერი გძელი,
ჭკუა თხელი,
თავი მჩატე—ცალიერი
ჰერი ბიჭო, ჰერი, ჰერი
რა კარგია მწვადათ მწყერი!..

2

ლალე, ლალე თარალალე
(ლამაზ ქალებს ვენაცვალე)
რა კარგია ქუთაისი,
(ვით სთქვას ენამ ფასი მისი.)
რა ქალები, რა ქალები!
ღმერთო ჩემო რა ლამაზი,
ლოყა ლალი, ტურფა-ნაზი.
ბალი, ქუჩა, სეირნობა,
ხვინტრიცობა, არშიყობა.
„ქუთათური“ კავალრობა,
პირზე პუდრი შეფრქვეული,
(ბალში ღამე გათეული.)
შემდეგ სახე გამოცვლილი,
თან მუცელი წამოზრდილი.
ცრემლის ფრქვევა, ვაი-ვიში
დედის წყევა, მამის შიში.
„აკუშერკა“ და ბებია,
აფთიაქი და წამალი,
(ჰერი, ბიჭო, არალალი
ქალებს დაუდგება თვალი,
არც ერთია იქ მართალი).

3

ნანა, ნანა, ნანი ნანა,
(რა ჭრელია, ეს ქვეყანა)
რა არ ხდება, რა არ ნახო,
(სასაცილო, სავაგლახო)
ქუთაისი ცნობილია
მოქეიფე ავარებით,
(სავსე არის სულ მთვრალებით.)
გრიგოლ ლალი
ლალათ ქშინავს,
ცხენს აჭენებს, ეტლით ფრინავს.
როს გადაჰკრავს კახურ ღვინოს,
მაშინ უნდა იბრიგინოს.
ვაჟკაცია მოყვანილი,
ვის გინდა არ შეედრება,
(რო შეხედო, სწორეთ ზეგნის
დიდი ვინმე გეგონება...)
ბელადია ფედერალთა
საქმეს სჩადის სასახელოს,
(რაღა უჭირს საქართველოს!)

4

დელი, დელი, დელი, დელი,
(გეიხუჭა შენი მღვდელი)
უპრავაში გიახელი,
ვნახო ილო*) ცრემლებს ღვრიდა,
ჯაფარიძე სხდომას ხსნიდა,
ფედერალისტები თრთოდენ,

---

*) იგულისხმება ყოფილი თავი ილიას ჩიქოვანი.

ყველაფერზე, ყველაფერში
მხოლოდ პროტესტს აცხადებდენ.
„კლაკიორნი“ ტაშს უკრავდენ,
ამხანაგებს ბანს ურთავდენ...
„რეჩით“ ჰერი ზანზარებდა,
და „ილო“ კი მოწყენილი
კუთხეს იჯდა მობუზული.
ვინ იცის თუ რას ფიქრობდა,
ვის სწყევლიდა, რას ნანობდა.
ჩაუარა „ღვაწლმა“ უქმათ.
(ეჰ, „რეჩებო“, ეჰ, „რეჩებო“
და გულ ცივო „ესდეკებო“)
რათ არ იცით ფასი შრომის,
(მებრალები მაგრამ რა ვქნა
ილო ენა გამოქნილო).

5

ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი
(წაწყდა ბერი, სულის მტერი
რათ არ შეიბრალეთ ილო,
რა კარგია თბილი კვერი)
რა ცუდია შიმშილობა
ხორცი—ჭირი, პური შავი,
(ოჰ, გაგიხმათ ვაჰრებს თავი)
ბორში, ხარჩო—ბუზიანი,
ღვინო - ძმარი, შხამიანი...
ცარცვა-გლეჯა, წყევა-ღლეტა
(ეჰ, რა ხდება, ვაი დედა.)
სიცრუე და მოტყვილება
ყველგან მყვლეფელების „ხროი“
(რა ძნელია გადატანა)
რა ცუდია ჩვენი დროი...

„შეპრენტილი“.

მოხსენება დიდ ეშმაკს

დიდ-თიონეთიდან.

თანახმათ თქვენი ბრძანებისა, დიდო ეშმაკო, შეუდექი თიონეთის რევიზიას. ქ. თელავიდან დილა ადრიან გავემგზავრე, თან მიახლა მთელი ლაშქარი ალქაჯების, ქინკებისა და ჯოჯოხეთის ბნელი ძალებისა.—ჩვენი ავტომობილები ერთი მეორეს მისდევდა... მთელი ჩემი რაზმი სამხედრო დიქტატურის ხასიათზე იყო, გზა და გზა შეტაკება და სროლა გვქონდა.

სოფ. ახმეტაში სოლო შეგვეგება პურ-მარილით., მას რეაქცია მისდიოდა ეგონა და სიხარულმა აიტაცა... „დაკლადი“ გაგვიკეთა „ქალების აჯანყების“ შესახებ.

თიონეთიდან სამ ვერსზე კოლა შემოგვეგება. მან მოწიწებით მოიხადა „ანგლისკი“ ქუდი და მოხსენება გამიკეთა ქალთა შეტაკების გამო. მოვისმინე რა მოხსენება, საჩქაროთ გავეცი ბრძანება, თუჯის ჯვარით იქნას დაჯილდოვებული კატო გოჯიევი, როგორც კარგი მოჭიდავე. ევა დოლიაშვილი და ივლიტა გოჯიაშვილი, ვითარცა მებრძოლნი, ვილჰელმის ყაიდაზე რკინის ჯვრებით დავასაჩუქრე... აგრეთვე ვბრძანე: აიკრძალოს იორის პირათ ქოლგებით ჩხუბი, ხოლო სამივე მებრძოლი გაგზავნილ იქნას დასავლეთის ფრონტზე.

მდინარე იორი წყნარათ გავიარეთ. სატახტო ქალაქში სანთლებით შევედით. ახალგაზდა სტუდენტი ჩვეულებრივი ღიმილით შეგვხდა., მოხსენება დაიწყო:

— ქალაქში სიწყნარეა, თქვენო უდიდებულესობავ! დღეს სამოცდა ჩვიდმეტი ლოთი დავიჭირეთ. რამდენიმე ვედრო არაყი დავღვარეთ. ორმოცდა ერთი ჩხუბი იყო. არიან თავ-გატეხილები. დრო გამოშვებით ლოთების მანიფესტაციაა. სიწყნარე და წესრიგი საუცხოვოა. ნაბოქაულარი ცისკაროვი გაგვექცა. დაჯილდოვებული იქნა ახალგაზდა სტუდენტი „გიორგევსკი“ „კრესტით“.

ალექსანდრე აბაზაძეს ქალების კრება გაემართა, ორმოცამდე დედაბრები შეეყარა და აგიტაციას უწევდა:

— თუ ჩემს პარტიაში ჩაეწერებით, თითო შვილს გავანთავისუფლებ, მივსწერ მეფე ნიკოლოზს და შეიწყალებსო.

კრებაზე მოულოდნელათ შევედით, აბაზაძე შეკრთა, ჩქარა გონს მოვიდა და ფანჯარიდან გადაქცევა დააპირა. სტაცეს ხელი და ჩვენება ჩამოართვეს. ვბრძანე: გადაწერილი იქნას იგი „მეფე ნიკოლოზის“ პარტიაში...

შევნიშნე დუქნებიდან-დუქნებზე გახტოდ-გამოხტოდა, მაღალი ჩოხოსანი, თვალების ჰაჩქურით ჩვენსკენ იცქირებოდა, ლაშქარმა ჩემმა ისმინა ბრძანება ჩემი და წარმომიდგინა აგიონში.

— ვინა ხარ შენ?

— მე ერთ დედაკაცსა ვცემე,—მომიგო მან.

— რას გეძახიან?

— დროშის დახვევა მოვიწყალინე, მარა ვერ ავასრულე.

— სად ცხოვრობ?

— აქ დიქტატურა გამოაცხადეს.

— ბიჭი ხომ არა ხარ?

— კეტები და ხანჯლები ამართეს...

— თავი კარგად არ გაბია?

— ხანჯალი მქონდა ვერცხლის იგიც წამართვეს, თფილისს გეახელ და გადამასახლეს...

— გვარს გეკითხები?

— კოოპერატივში ანგარიშები გადამირიეს, როცა ჩვენში გამოჩნდა უცხო პირები, სულ მთელი ხალხი გადაგვრიეს...

— რას მიედ-მოედები?

— მიწების ყიდვა მე განვიძრახე, მაგრამ ბოლოს ზედ წამალახეს...

— გვარი მითხარი, გვარი!..

— უთავბოლო მიხა ძებვიაურს მეძახიან.

ვბრძანე: გაგზავნილ იქნეს საგიჟეში.

სასურსათო კომიტეტში „მეშოკით“ ფქვილებს ითვლიდენ. ჩვენ შესვლისას ყველანი შეშინდნენ, სიმონ წიკლაურმა საჩქაროთ მიპასუხა:

— ორმოცი ფუთი კარაქის კონფისკაცია მოვახდინეთ.

— ყველი და ერბო აუარებელიაო,—დააყოლა ბუღდანამ.

აწერილ იქნა კომიტეტის ვინაობა. კაჩაროვსკიმ მოახსენაბა გამიკეთა:

— 24 საათში მკელლობაც ხდება, ოქმის შედგენაც, გამოძიებაც, გასამართლებაც და საკარტოლო სასჯელის მოხდაც. ვეღარ მოვითმინე, დიდო ეშმაკო და ყურები ავუწიე.

ზატლილიდან თოთურ-თოთია ჭინჭარაული გამომეცხადა. მოახსენება გამიკეთა: ბარისოხოდან გოგოთურ-გოგოთურმა: შეკითხვა დამიყენა: —ზალვას პარტიიდან ხომ არ ბრძანდებითო? თოფები მომთხოვეს... გავეცი ბრძანება შეიარაღებულ იქნას ხეკსურნი და დაჩქარებით აკურთხონ მცხეთაში სარდლათ ზალვა ქარუმიძე. ბაჩანა გადაკრული შეშეება. ჩვეულებრივ მხიარულათ შემომძახა:—დიახ!!! დიახ, ეშმაკის მოციქულო, თქვენთვის გაუგებარია ბრბოს ფსიხიკა.

ბრძანება გავეცი ჩაწერილი ეშმაკის ჩვენ-ტრაზმში.

მოახსენების შემდეგ „ბუნებრივ-ბიბლიაში“ გავემგზავრე ჩემი გვარდიით. სკოლის დარბაზში არა ჩვეულებრივი ფაცა-ფუცი იყო. ჩვენს მისვლას ელოდნენ. მიახლოვებისას მეორე სართულიდან სიმღერა მოგვესმა:

„თინეთს ჰყავს ერთი ქალი,
სოფო ჰქვიან მას სახელი,
მღლა სკოლაში ბინადრობს,
ღმერთმა მოუმართოს ხელი“...

სკოლის დარბაზში კრება იყო. ჩვენს მისვლას „ურას“ ძახილით შეეგებენ. დიდი კამათის შემდეგ, რაკი გამოირკვა თინეთის მოციქულთა აჯანყება ნიკოლოზ II-ეს“ წინააღმდეგ, ღმის სამი საათიდან დიქტატურა გამოვაცხადე... გამოცხადების შემდეგ ალქაჯთა ხორომ დაიგუგუნა:

დიდო, ეშმაკო, დიდ თინოენთში,
ბრძოლას განაგრძობს თქვენი კრებული,
და ამ ომიდან აწ-ღმერთმა იცის
თუ ვინ გამოვა გამარჯვებული...

ბბაზაძე ჩვენ ტყვეთა ჩავიგდეთ,
ივლიტე, სოფო, მიხა ახმახი,
მაშინ დაფიქრდენ, როცა იგემეს
ჩვენი ქაჯების შეკვეთ მათრახი...

ერთი მხრით სდგანან ბნელი ძალები,
ძველი წესების მოციქულები,
დიად სახალხო მოძრაობისგან
აწ გადაცვლილნი დალუპულები...

მეორე მხრით სდგას ჩვენი ლაშქარი,
მებრძოლი ეშმაკთა—ალქაჯებისა,
დაუნდობელი დიქტატორები
ამსრულებელი თქვენ ბრძანებისა...

სიმღერის შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ სასახლეში, იქ ქეიფის შემდეგ ფედერალისტთა და ერ.-დემოკრატთა შორის სისხლის ღვრა მოხდა მიწის გარიგების შესახებ.

პირველი დღეების ამბებმა ასე ჩაარა. დიქტატურის შემდეგ შეშინაობა, ქალაქი დაკეტილია. კრებები აღკრძალულია. გზებზე მიმოსვლა შეწყვეტილია. ვაპრები გარბიან. ბევრ ადგილას სტიქიური აჯანყებაა. ჩხეიძის ქალმა რევოლიუციონურ გზით დაიტაცა იოსების მიწები. დაიწყო ხუცების ლოთობა.

ზომები მიღებულია... დაწვრილებით შემდეგ.

თქვენი ალქაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრის ნაამბობი

უბაბური ქმეუანას
კოდი გიდა ბარბალანტ.
მეგრული ანდაზა.

(ძღვნად ჩემს ყოფილ და მომავალ დიასახლისებს და აგრეთვე საჩქაროდ გამომცხვარ საზოგადო მოღვაწეებს).

1

რაგზარ შევიქენ მე ეურნალისტი

— კაცო ერთი ცახე ქალაქიც რომ აღარსად არის გაკრული?.. ერთი ოთახიც რომ აღარსად იშოვება!—ვიმეორებდი სასოწარკვეთილი და ღილიდან ხეტიალით მოქანცული, ღონე მიხდილი ვბრუნდებოდი სალამოზე ერთი ამხანაგის ბინაში, რომელსაც შევფარე თავი მას შემდეგ, რაც დიასახლისმა გამისტუმრა...

— იშოვე?—მკითხა შესვლის უმალ ამხანაგმა, რომელსაც ფეხები ერთმანეთზე დაეწყო და თამბაქოს აბოლებდა.

— გაგიგონია?.. მთელი ქალაქი შემოვიარე ტყვილად!—უპასუხე ძლივს და სასომიხდილი გავგორდი ლოგინზე.

— მერე ქალაქში რას ეძებდი! —დაიწყო იმან ისეთ კილოზე, თითქო მისთვის გადაუჭრელი საკითხები არც კი არსებობენო—ქალაქი კი არა ბინები უნდა შემოგევლო... ოთახი ვაშლი როდია, რომ ქუჩაში ჰპოვო გასაყიდად... ის ბინებში იპოვება და არა ქუჩებში... ბინას პატრონები ყველგან დიასახლისები არიან... დიასახლისს თუ მოეწონე, ოთახიც უზრუნველყოფილია... ამიტომ ბინები უნდა შემოიარო... შემოიარო უნდა დიასახლისები... ერთს თუ არ მოეწონე, მეორეს მოეწონები, მეორეს თუ არ მოეწონე, მესამეს მოეწონები... ამრიგად ოთახიც გაჩნდება, კიდევაც რომ არ იყოს საჭირო მისი გაქირავება... შენ კი ამის მაგივრად დადიხარ ქუჩებში...

მე ხელი ჩავიქნიე უიმედოდ. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ დიასახლისს ისე ადვილად არ მოვეწონები. დიასახლისი ისეთი ცხოველია, რომ მას კაცი არ მოეწონება. შემიძლია დავიფიცო, რომ არასოდეს არ მოეწონებიარ დიასახლისებს. მაგრამ რას ეტყვი ისეთ კაცს, რომელსაც ... გაეგება ამ საგანში?

მე დავდუმდი ძალმილეული და შეუმჩნევლად გავცურდი ჩვეულ ოცნებებში. შეუმჩნევლად გაქრა გაფიფრებული დღე და ოთახის ბნელი კუთხეებიდან გამოჩნდნენ ნაცრისფერ ლანდები. აგერ ერთი, წყრომის ღმერთივით განრისხებული, აგერ მეორე, მესამე. ჰა მთელი რიგი, საშინელი რიგი! ზოგი დანით არის შეიარაღებული, ზოგი ჯოხით. მთელი როტა მიახლოვდება, მემუქრება და ეგ არის ჩამქოლოს. მეშინია, ვკანკალებ... ოხ!..

— დაგწყევლოს ღმერთმა ულმერთოებმა! —მივაძახე. რაც ძალი და ღონე მქონდა და ის იყო გამომეღვიძა საშინელ ტანჯვაში. უკვე ღილა იყო.

— რა დაგემართა კაცო?—შემეკითხა ცხარედ გაფიფრებული ამხანაგი, რომელსაც გამოღვიძებოდა ჩემს ღაღადისზე.

— ეს ამხანაგო, შენ რომ იცოდე რა დამესიზრმა... ჩემი ყოფილი დიასახლისები შეყრილიყვნენ და ჩაქოლვას მიპირებდნენ.

— შენ, ჩემო ძმაო, ყოველ სისულელესაგან ტრაგედიას ნუ აკეთებ!

— სისულელე რომელია, როცა მთელი როტა დიასახლისებისა... იერიშით მოდის!..

— ბიჭო შენი დიასახლისები ერთი როტაა და თბილისის დიასახლისები რომ შეჰყარო ერთი პოლკიც შესდგება...

— ღმერთო ჩემო! სად დავიმალო...

— და თუ როტაში არავის მოეწონე, ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, თითქო პოლკშიც არავინ გაჩნდება ისეთი, რომ მოგიწონოს?

ის კიდევ არ იშლის თავისას!

— გამომყევ ახა!—სთქვა მან გადაკრით, როცა ჩავიცვეთ, და გაემართა კარეგისკენ.

რას ვიზამდი! მდგომარეობა მართლა რომ ტრაგიკული იყო! იმ დღეებში ამხანაგი თავის ცოლს მოელოდებოდა სოფლიდან და ჩემი გაჩერება მათ ერთად ერთ ოთახში შეუძლებელზე შეუძლებელი ხდებოდა. სასტუმროებში ბინა არ იყო, არც სიმისო ჯიბე გამაჩნდა. მეტი რა გზა იყო, უნდა მომეძებნა ბინა.

გავყევ ძალაუნებურად და შეუდექით ბინიდან ბინაში სიარულს, გაჩაღდა მოლაპარაკება დიასახლისებთან; გაჩაღდა და მიდიოდა რიგიანად, სანამ

ჩემს ამხანაგს არ გაუჩნდა რაღაც საქმე. მას შემოდგა, ერთ ხანს, სულ უმწეო მდგომარეობაში ვიგრძენ თავი, მაგრამ უკან დახევა საიმედოს ვერაფერს მიკარნახებდა. უნდა ისევ გამეგრძელებინა ეს არასასიამოვნო მგზავრობა და გაუდექ კიდევაც. მართალია ყოველ ნაბიჯზე თან და თან უფრო მეკარგებოდა იმედი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ საჭირო იყო დამეტაკებინა ამხანაგისთვის მაინც ჩემი თავგამოდებული საქმიანობა. ამიტომაც გადავწყვიტე შემომეფლო არა მარტო კერძო ბინები, არამედ: დუქნები, მაღაზიები, სახელოსნოები, სარდაფები, სახელმწიფო თუ საზოგადო დაწესებულებანი, და ყველაფერი, ერთი სიტყვით, სადაც კი შეისვლებოდა, „ყოველგან ხალხია, ყველას ბინა აქვს და ვინიცობაა“, ვფიქრობდი და ვიღოდი არა მარტო ბინიდან ბინაში, როგორც მირჩია ამხანაგმა, არამედ კარიდან კარში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ასეთი ჩემი თავგანწირულების წყალობით, ვეწვივე სხვათა შორის, ერთს—კერძო ბინა იყო თუ საზოზოგადო დაწესებულება—მეტათ არაჩვეულებრივ ალაგს. კერძო ბინა ის არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც არავითარი შინაური მორთულობა არ სჩანდა. ორი-სამი საწერი მაგიდა და სამიოდე კოხტად ჩაცმული ყმაწვილი კაცი, ნათლად ამტკიცებდნენ, რომ ეს უთუოდ რომელიმე დაწესებულება იყო, მაგრამ ასეთი მოსაზრებაც საეჭვო ხდებოდა. ამა რომელ დაწესებულებაში შეგხვდებიან აღტაცებით, უცნობნი კი არა, ნაცნობ-მეგობრებიც კი, რომელ დაწესებულებაში მოგმართავენ ასე გულიანად:

— მე თქვენ კარგა ხანია მოგელოდითო—როგორც მომეგება ხოლმე ერთი ქოჩრიანი ვაჟბატონი, თავზეხელაღებულის გამომეტყველებით, რომელიც იჯდა ერთს უფრო ლამაზად მორთულ მაგიდასთან და, როგორც სჩანდა, ბატონობდა ამ დაწესებულებაში.

ამიტომ ვსთქვი, რომ არაჩვეულებრივ ალაგს ვეწვივ მეთქი!

მე ისე გამაკვირვა ქოჩრიანი ვაჟბატონის აღტაცებამ, რომ კიდევაც გადამავიწყდა მომეხდინა სპრავკები ოთახის შესახებ.

აშკარა იყო, რომ „შევეშალე“, მაგრამ ვარჩიე დადუმება: ვინიცობაა, ეგებ ასეთმა შეხვედრამ მაშოვნოს ოთახი მეთქი. ახლა სწორედ არ ვიცი საიდან დამებადა ეს იმედი. მაგრამ ისევ მოგახსენებთ: „წყალწაღებული ფიქრს ბალიშს ეკიდებიანო“.

— თქვენ არ იზამთ სიკეთეს და არ გაგვიწევთ თანამშრომლობას?

მე ვირაფერი გავიგე, მაგრამ წინდაწინ გადაწყვეტილი მქონდა ყველაფერში დავთანხმებოდი.

— თქვენ უეჭველად შეგიძლიან—გადასწყვიტა იმან სიბოლოოდ—თქვენ სწორედ ლიტერატორის სახე გაქვთ!

— საგიეფეში ხომ არ მოვსულვარ—გამიელვა თავში, მაგრამ ისევ დავდექ წინანდელ გადწყვეტილებას. მასთან, რაც უნდა იყოს, უსარგებლო არასოდეს არ არის კაცის მოსმენა.

— წარმოიდგინეთ—განაგრძნობდა თავზე ხელაღებული—რიგიანი თანამშრომლებით მეტად ღარიბი ვართ და რომ გაგვიწევდეთ...

— ნუ შეუბნებით—ჩაიქნია იმან ხელი, როცა მიუთითე ჩემს გამოუცდელობაზე—თქვენს სახეზე, მეგობარო, აშკარად კრთის ლიტერატურული მოწოდება...

ეხლა ვიცი, რომ ჩემი ფერმიხდილი სახის დალლილობა იმან ლიტერატურას მიაწერა. ლიტერატურა აქ რა შუაში იყო. ღმერთო ჩემო! რათ არ ამოწყვიტე დიასახლისები!..

— თქვენი სახე საუკეთესო მოწმეა მეგობარო—არ ისვენებდა თავზეხელაღებული—რომ თქვენ ლიტერატურულად მომზადებული ხართ... ჩვენ სწორედ ასეთები გვჭირია... მით უმეტეს, რომ თქვენ, როგორც ახალგაზრდა კაცი, უთუოდ ახალ მწერლობაში იქნებით გამოწაფული ..

— მე პირველი განყოფილებიდანვე მძულდა, რასაც თქვენ ეძახით ლიტერატურას. „ბატეგო სად ყოფილხართ რა გინახავთ, ვანოს დედა არ გინახავთ?—დიაღ ვნახეთ, ვანოსათვის ყვავილს ჭკრებდა“-ო,.. ოჯახიც ისე აგიწყნდება რამდენი დროც დედა ჩემსა აქვს ყვავილების საკრებად მეთქი და გადავაგდე წიგნი... მაშინაც არ ურიგდებოდი შეუსაბამობას... ან სად თქმულა და გაგონილა მეთქი ბატების ლაპარაკი... უკანასკნელ ხანად ლეონიძის ლექსი წაეკითხე „საქართველოში“ .. „ია ვარდებს დაგიყენებ ნაზ-ველბარადო“, ეუბნება საბოლოოს... სახელმწიფოებრივი გამკრიახობაც ასეთი უნდა სწორედ!.. მოდი და დაეწაფე მას!.. მოდი და გამოიწაფე ამით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი

„ქართულმა საეკლესიო კრებამ შე-
მა ეკლესიის გარეშე საერო ტანთ-

ქალაქის მღვდელი.
უწინ (ზემოთ)
და ახლა (ქვემოთ).

გურული მღვდელი.
უწინ და ახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამღვდელოება

საძლებლათ „სცნო, „მღვდელ-
საცმელი ატაროს“.
(გაზეთებიდან).

დეკ ნოზი. — ქართლელი მღვდელი.

უწინ და ახლა. — უწინ და ახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ თუ თქვენ ასე „მწყრალათა“ ხართ მწერლობასთან?

ცხადი იყო რომ გადავაჭარბე, მაგრამ რა არის აბა გამოუსწორებელი?

— მე მწყრალად ვარ ყოველ შეუსაბამობასთან, რომელიც სინამდვილეს ეწინაღმდეგება!— ვსთქვი რიხიანად და გავარტყი მაგიდაზე მუჯი, როგორც შეშვენის მართლადაც გაქნილს და გამოცდილს კაცს.

— ჰო... მესმის. გამოდის თქვენ რეალისტი ბრძანდებით.

— მე იმ აზრისა ვარ, რომ მწერლობას მხოლოდ სინამდვილესთან უნდა ჰქონდეს საქმე..

დავიდასტურე ისევ წინად თქმული, აღევლებული ხმით.

— აი ეს არის რეალიზმი... ჩვენ სწორედ რეალისტები გვჭირია... რომანისტები ისე გამრავლდნენ რომ თავი მოგვაბეზრეს... და თქვენ სწორედ დიდ სამსახურს გაგვიწევთ, რომ მოინდომებდეთ და...

თქვენ უთუოდ მიხვდით, რომ არაჩვეულებრივი დაწესებულება, რომელშიც მე შევედი, შემთხვევით, ოთახის შესახებ „სპრავკების“ მოსახდენად— რედაქცია ყოფილა. ბინა იქ, რასაკვირველია, არ მიშოვნია, მაგრამ რედაქციის ბილეთი კი შევიძინე და ეს საიმედო გარანტია იყო იმისა, რომ ბილეთი დაწერილიყო ისეთი რედაქციის ბლანკზე, რომელიც ბევრს რამე საიმედოს ეუბნება რევოლიუციით დამფრთხალ სახლის პატრონებს. მე შემდეგ დავრწმუნდი, რომ ასეთ ბილეთებს დიასახლისთა შორის, განსაკუთრებით ქალაქის შუა ნაწილში, უფრო მეტი გასავალი ჰქონია, ვიდრე მოციალე პაგონებს ძველი რეჟიმის დროს.

2

როგორ შევიქენ კოოპერატორი

ეს მოხდა იმავე საღამოს. მოხდა სულ უბრალოდ.

— შენ კოოპერატორობა არ გინდა?—მომმართა ერთმა ამხანაგმა გოლოვინის პროსპექტზე ხეტიალის დროს.

— მე ეხლა ჟურნალისტი ვარ და მედუქნედ აბა როგორ შემიძლია გავხდე—უპასუხე სერიოზულად.

მე გაგონილი მქონდა, რომ სოფლებში კოოპერატიულ დუქნებს აწყობდნენ... დუქნები ყოველთვის მეჯავრებოდა, მეჯავრებოდა მედუქნეებიც. ამიტომ მეჯავრებოდა კოოპერაცია, რომელსაც... სიმართლეს ვიტყვი!—მედუქნებისაგან არ კი ვარჩევდი.

— მერე ჟურნალისტები განა ცოტა არიან კოოპერატორები?

— ისინი ალბად ბურჟუაზიელებია.

— ბიჭო! რა სთქვი!

— ისა ვსთქვი, რომ მედუქნეობას მხოლოდ ბურჟუაზიელები ეწევიან მეთქი.

— რაღა მედუქნეობა დაიჩემე კაცო! მე კოოპერაციაზე გეუბნები და არა მედუქნეობაზე.

— კოოპერაცია განა იგივე მედუქნეობა არ არის?

— შენ ამის მეტი არ გესმის კოოპერაციაში?

— აბა ძალიან კი მესაჭიროება რომ მესმოდეს?

— შე სულელო ოც და ათ თუმანს მოგცემენ თვეში!

ამან ცოტა არ იყოს ჩამაფიქრა: ოც და ათი თუმანი ხუმრობა როდია.

-- რას იტყვით?

— მოვიფიქრებ.

— ბიჭო რა მოფიქრება გინდა! ყველა თუ ვარგა შენ „ბუში“ ხომ არა ხარ?

მართლა, ყველა თუ ვარგა, მე ვითომ ბიჭი არა ვარ თუ!!

თარაში.

„ეშმაკის მათრახის“

ხელის მომწერლების საყურადღებოთ.

ქაღალდის და ყოველგვარი საბეჭდავი მასალის უზომოთ გაძვირების გამო, ჟურნალის ფასი წლიურათ 7 მან. მაგიერ არის 12 მან. ამიტომ გამომცემლობა სთხოვს ხელის მომწერლებს, გამოგზავნონ ზედმეტი 5 მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ ნომრიდან ჟურნალი აღარ გაეგზავნებათ.

კანტორა განათლება"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის არჩევნების შედეგი ჭიათურაში.

სცენა I მოქმედებად.

მომქმედნი პირნი:

სიმონ დვითიჩი ს. დ. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

გიორგი ს. დ. მოდოეევჭტი ს. რ. დავ. ჟდენტი ს. ფ. ილ. ჟდენტი ნ. დ. სოსანა ს. ფ.	საარჩევნო კომისიის წევრები.

ვასკვი ს. დ. . . . . მდივანი.

ისიდორე ს. დ. სიმსონი ს. დ. გრიგოლი ს. დ. ანერი ს. ფ. ნუნა ს. ფ. რეპეკა ს. ფ.	გარეშე დამსწრენი.

(დიდსა. ეკლესიის უმდიდეს პირველ დარეკვებით სასწაულებელში შეკრებილნი არიან საარჩევნო კომისიის წევრნი და სხვა მრავალი დამსწრე ხალხი. დიდ მაგიდაზე სდგას საარჩევნო ყუთი დალუქული, რომელსაც შესაძლებელია პარტიების წარმომადგენლები და ელიან კომისარს. კომისარიც და შეუდგებიან ყუთის გახსნას).

ილ. ჟდენტი ნ. დ. მოქალაქენო! უმორჩილესად გთხოვთ დროებით შეაჩეროთ ყუთის გახსნა და ნება მომცეთ მე ცოდვილს ორიოდე სიტყვით შეევედრო უფალს.

გიორგი ს. დ. ლოცავ თუ გსურთ მიბრძანდით მონასტერში და იქ ილოცეთ. ჩვენ აქ საქმისათვის მოვსულვართ და არა სალოცავად.

ილ. ჟდენტი (ყველას ეხვეწება). უმორჩილესად გთხოვთ ამისრულოთ ეს ერთი თხოვნა. პაპალუსტა ნუ დამტოვებთ გულნაკლულს.

ყველანი. მივსცეთ ნება, მივსცეთ.

სიმონი (ზარს არაწკუნებს). მოქალაქენო! კენჭის თვლის დროს სიჩუმეა საჭირო.

ყველანი. სიმონ დვითიჩ! მივსცეთ ნება, მივსცეთ.

გიორგი (გაჯავრებული). Я протестую. (თავმჯდომარე კენჭს უყრის წინადადებას და ხმის უმრავლესობით ნებას აძლევენ ილ. ჟდენტს ილოცოს. სიჩუმეა).

ილ. ჟდენტი (დაიჩოქებს ყუთის წინაშე და ხელებს აპყრობილი). ღმერთო ძლიერო და ყოვლის შემძლებელო! ყოველად წმინდაო მიტროპოლიტო მცხეთისაო, უუწმინდესო კათალიკოსო საქართველოისაგ, არხიმანდრიტო, დეკანოზნო, ბლაღოჩინნო, მღვდელნო, მთავარნო, დიაკონნო, ბერნო, მონაზონნო და ერთად თეთრნო და შავნო სამღვდელოებავ. გამოაჩინეთ ძალნი და სიწმინდენი თქვენნი და ყველა ამ დალუქულ იაშჩიკში ჩაყრილი ბილიუტენები მეოთხე ნომრებად გადაქცეთ. (მაყურებლებში დიდი ჩოჩქოლია).

გრიგოლი ს. დ. არ შეიძლება! თავმჯდომარეე ჩამწერეთ.

ხმები: გაჩერეთ, გაჩერეთ!

ილ. ჟდენტი. მოქალაქენო, გთხოვთ ნუ შემიშლით.

ხმები: არ შეიძლება, შეიძლება! (დიდი ჩოჩქოლის შემდეგ ილ. ჟდენტი განაგრძობს).

ილ. ჟდენტი. ყოველად წმინდაო ღვთის მშობელო და ალექსანდრ ივანიჩის მადლო და ძალო, ბარ. პაპაეას მუშათ-მოყვარეობავ, მარკოზ ფხალაძის არშინო და ილარიონ კოხრეიძის მაზუტის კატიოლის მადლო და ძლიერებავ, შენ დაანახეე ჩემს ცოდვილ თვალებს და გაგიგონე ჩემ ყურის ყურებს, ჩვენ გზეთ „საქართ...“ უკაცრავად ცერკოვნი ვედომოსტში ყოფილიყოს დაბეჭდა ჭიათურიდან, რომ ჩვენ ოც ხმოსანში გვრგებოდეს 19 ადგილი. ღმერთო ყურად იღე ვედრება ჩემი, გამოაჩინე ძალნი შენნი და ნუ მოაკლებ საწყალ ჭიათურას მარკოზ ფხალაძის თავობას და ანგია ლეონავას საბჭოს თავმჯდომარეობას.

გიორგი (ძალიან გაჯავრებული). Это безобразіе! Намъ надо дѣло дѣлать, а не Богу молиться!

ისიდორე. სიმსონი. გრიგოლი.	მართალია, მართალი!

სიმონი (ზარის რაწკუნით). მოქალაქენო, არ-ჩევნების დროს სიჩუმეა საჭირო.

მოდოეევჭტი (ილ. ჟდენტს). ფაკირი გამოიწერე და ის გადაგიქცევს ბილიუტენებს მეოთხე ნომრად.

სიმონი. არჩევნების დროს სიჩუმეა საჭირო. საქმეს შევუდგეთ, თორემ ჩვენ დღეს მრავალი საოთვლელი და საწყარი საქმე გვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავ. ჟდენტი ს. ფ. (სიმონს). ეგ არაფერია, ერთ მინუტში გადავბეჭდავ რემენკტონზე. ბ. თავმჯდომარეს! მეც მომეცი ნება ჩემი ღმერთი ვახსენო.

ხმები: არ შეიძლება, არა! (სიმონი ზარს უკრავს, დიდი ჩოჩქოლია).

გიორგი. Я зналъ что всѣ захотятъ и потому былъ противъ. Теперь ужъ Вы должны позволить и ему. (კენჭის ყრით ხმას აძლევენ დავ. ჟდენტსაც).

დავ. ჟდენტი ს. ფ. ღმერთო ძლიერო, ნუ მოგვიძულებ, ჩვენ არა ვართ ურიგო პარტია. ვფიცავ ჩვენ ნიკოს რასტარობლოტობას, პარმენის ტუზვალეტს, შაქროს ორატორობას, რეგეკას რენეგატობას, ნიკა ფხალაძის სოციალისტობას, სოსანას დამსკი კავალრობას, რომ ჩვენ ისინი აღარა ვართ, რაც წინათ ვიყავით. ყველა თავად-აზნაურთა ჯგუფი და ყველა რევმატიზმით ბებერი პროპორჩიკები ჩამოგვცილდნენ და ამ ჩემი სახლიკაცის პარტიაში გადეკიდენ. (ნაც. დემოკ. აჩენებს) დღეს ჩვენ წმინდა სოციალისტები და ბლეხობის მოსარჩლენი ვართ. ღმერთო ძლიერო, შეისმინე ჩემი ვედრება, აღმოაჩინე ამ გრძნეულ ყუთში ხუთი ხმა მაინც, რათა ჩვენი ნუციკო თვითმართველობის გარე არ დაგვრჩეს და მით ემანსიპაციაც დაცულ იქმნეს, დეე დანარჩენი ხმები სხვებშა მიიღონ, ოღონდ ეს ჩვენი ნუცა...

ხმები: დავოლნა, დავოლნა, ათასი საწერი გვაქვს.

დავ. ჟდენტი. ბატონო, მინუთში გადავბეჭდავ რემენგტონზე...

ხმები: გააჩერეთ, გააჩერეთ!

სიმონი (ზარს არაწკუნებს). მოქალაქენო! ხმების დათვლის დროს სიჩუმეა საჭირო. (დავ. ჟდენტს) გეყოფაო, გაათავეთ.

დავ. ჟდენტი (დგება მუხლის თავების ბერტყით) ღმერთო ძლიერო! შაქროს, ნუცას, მიანიკე ხმოსნობა. მათ სიტყვებს მინუთში გადავბეჭდავ რემენგტონზე. (დგება).

სიმონი (პოლიეკტის). ახლა თქვენი რიგია ლოცვის.

ბოდეკტი ს. რ. მე ვლოცულობ. თუ აქვს ქვეყანაზე რამეს ძალა, ჩვენი კანდიდატთა სიის მერვე ნომრის სიწმინდეც გვეყოფა. (ხდება).

სიმონი. მაშ შეეუდგეთ. ყუთის ამოღებას.

ყველანი: შეუდგეთ! (კომისია, კომისარის თანადასწრებით ხსნის ყუთს. რა გაიღება ყუთი, თვალები გაუბრწყინდება ყველას).

ად. ჟდენტი (სიხარულით). „ბზინკ არა, ჩხინკ!“

დავ. ჟდენტი.
ბოდეკტი. } ჩხინკ, ჩხინკ!

გიორგი. Господа, мы послѣ подсчета скажемъ бзинкъ или чхинкъ.

გრიგოდი. მართალია, მართალი!

სიმონი. Ну, господа, приступимъ къ дѣлу, тоже за часъ сдѣлаемъ и все. ეფიცავ ათასი საქმე გვაქვს, სათვლელი და საწერი.

დავ. ჟდენტი. ბატონო, მინუთში გადავბეჭდავ რემენგტონზე, ოღონდ ჩვენი შაქრო და ნუცა არ დამიტიოთ გარეთ.

სიმონი. ბატონებო სიჩუმეა საჭირო. (სოსანას) სოსან, გაუტეხი თავები კონვერტებს და ამოიღე ბიულეტენები.

სოსანა. კი ბატონო, ოღონდ სულ ტრეტი ნომრები ამოვიდეს და გინდა ფურგუნის დიშლაში შევებმები.

შაქრო.
ნუცა. } ბრავო, სოსანა, ბრავო!
რეგეკა.

(სოსანა უტრის კონვერტებს თავებს და იღებს ბიულეტენებს. პირველ კონვერტში აღმოჩნდება მესამე ნომერი. სოსანა სიხარულით იყვირებს).

ხოსანა (შაქროს). შაქრო! ჩვენია, ჩვენი!

ად. ჟდენტი. ნუ გიხარიან, ნუ! ებრაელმა სთქვა: „ღმერთო პირველათ ჩემი შვილი დაამარცხეო“. ბოლოს გიგონე თუ ბიჭი ხარ.

სიმონი. ბატონებო, სიჩუმეა საჭირო.

ბოდეკტი. სოსანა მუდამ იღრიჭება. მაგის სიცილს ბაჟი არა აქვს.

გიორგი. Я протестую противъ такой анархіи.

სიმონი. მოქალაქენო, სიჩუმეა საჭირო. (სოსანა თავებს უტრის კონვერტებს და უყრის წინ სიმონს. სიმონი ბიულეტენებს იღებს და ხმა მაღლა იძახის).

სიმონი. პირველი, პირველი, პირველი პირველი...

ად. ჟდენტი (აწყვეტინებს). А можетъ быть четвертый, нѣтъ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღ. ჟღენტი (აწყვეტინებს). Или третій можетъ быть!

სიმონი. არა, ბატონებო, არა.

პოდიეკტი. Въ самомъ дѣлѣ, а можетъ быть второй?

სიმონი. ბატონებო, თქვენ მიშლით მე. მე ამოვიკითხავ ნომრებს, დავსდებ მაგიდაზე და ვისი ნომერიც იყოს, იმ პარტიის წარმომადგენელმა დაიწყოს წინ და შემდეგ ცალ-ცალკე დავთვალოთ.

ეკეკლანი: Правильно, правильно! продолжайте.

სიმონი (განაგრძობს). მეოთხე, პირველი, პირველი, პირველი, პირველი, მეორე, პირველი, პირველი, პირველი...

დავ. ჟღენტი (აწყვეტინებს). კაცო, სულ პირველი! ის ოხერი ჩემი ჩაგდებული ტრეტი ნომერი მაინც სად დაიკარგა!!. Вотъ ей Богу!!

სიმონი (განაგრძობს). მესამე...

ეკეკლანი (ტაშით). ბრავო, ბრავო! მოგვილოცავს დავით, მოგვილოცავს! (სიმონი განაგრძობს, დიდი უმრავლესობა პირველი ნომერი ამოდის. სოციალ-დემოკრატი ვერც კი ასწრებს ბიულეტენების აკრეფას, სხვა პარტიების წარმომადგენლები სხედან გულ-ხელ დაკრეფილნი და შესცქერიან. ხან და ხან გამოდის მათი ნომრებიც და ზანტათ იწყობენ წინ).

პოდიეკტი (გადაპხედავს ნაც. დემოკ. ბიულეტენებს). რავაა საქმე?

ეკსკეკი (ოხუნჯობს). Пока ничего, хорошо. Но я вотъ вижу, что вы гдѣ-то ошибаетесь. (საერთო სიცილი).

სიმონი. ბატონებო, სიჩუმეა საჭირო, სიჩუმე. (იღებს ნომრებს). პირველი, მესამე, პირველი, პირველი...

რებეკა (ნუცას). ნუცა, ნუცა, უყურე ჩვენ დავითს რავა ბლომათ უწყვია წინ. ეტყობა გვარიანად მიდის ჩვენი მესამე ნომრის საქმე.

ნუცა. Какой чертъ, ჩვენი ბიულეტენები სქელია და მიტომ გეჩვენება ასტე. (შაქრო პირ დაფჩენილი მისჩერებია სოციალ-დემოკრატების ბიულეტენებს და თვალები ეცრემლება).

რებეკა (შაქროს). ბიუო, შენ მეოთხე ნომერი ხარ ჩვენ სიაში, არა?

შაქრო. მეოთხე ვარ, მარა რა ყრია!

რებეკა. რამ წაგახდინა, ბიუო! ბოლო კი არა ხუთიც გავალთ, ნიჩევო. ვერა ჰხედავ დავითს რამ სისხოთ უწყვია წინ ბიულეტენები.

შაქრო. ნეტა ნიკო გავიდოდეს და ჯანაბას ჩემი თავი.

სიმონი. ბატონებო სიჩუმე, გთხოვთ.

რებეკა. ბატონო, ჩვენ გაჭირვებაზე ალარ გვალაპარაკებ!

სიმონი. აქ სიჩუმეა საჭირო.

შაქრო. ბატონო, კარანდაში შემაციედა ხელში, სულ ხუთი ხმა არ ალმინიშნავს და ალარც მალაპარაკებ!

გრიგოლი.	ხა, ხა, ხა, ხა! ჩვენი ნომრები წე-
სიმსონი.	რე, ბიუო, ჩვენი და ალარ შეგა-
ისიდორე.	ცოდება კარანდაში.

სიიონი. Господа, тутъ видно страсти разгораются и я призываю Васъ къ порядку. (განაგრძობენ თვლას. დიდი უმრავლესობა პირველი ნომერი ამოდის. სხვა პარტიების წარმომადგენლებს ყვითელი ფერი ედებათ. სოციალ-დემოკრატები ბრწყინავენ). ამნაირათ, ბატონებო, საერთო ხმების ჯამი არის 1256. ამათში სამი გასვრილ-დაჩხაპნილია, რაც არ ჩაითვლება კაიონიერად. ერთი კონვერტი ცარიელია, ხოლო ერთ კონვერტში ორი ხმა დევს.

პოდიეკტი. ეგ ალბათ ვინმე განუყრელმა ცოლქმარმა ჩადო ერთად, რადგან ხმის მიცემაშიაც არ უნდათ დაშორება. Вотъ счастливая пара!

სიმონი (ზარს არაწკუნებს). პოლიეკტ, სიჩუმეა საჭირო. (განაგრძობს) ამნაირად, ბატონებო, თუ იმ ხუთ ხმას არ მივიღებთ მხედველობაში, საერთო ჯამი ხმებისა იქნება 1251.

აღ. ჟღენტი (თვალებს აცეცებს). მეოთხე ნომერი ხომ არ ურევია იმ ყუთში?

დავ. ჟღენტი (წამოიტირება). ან იქნება მესამე იყოს?!

სიმონი. არა, ბატონებო, პირველი და მეორე ნომერია.

აღ. ჟღენტი.	მაშ გაბათილებულია, გაბათი-
დავ. ჟღენტი.	ლებული.

პოდიეკტი. იფ, იფ, იფ... თქვენ რას ბგებთ, რა გეწყინებათ?

ნუგ. რებეკ. } Разумѣется заблаговѣрно!

გრიგორი. ისიდორე. სამსონი. } Неправда! Сворнія, Сворнія!

სამსონი. მოქალაქენო, გთხოვთ ნუ ერევით საარჩევნო კომისიის კომპეტენციაში და აცალეთ საქმის დაბოლოვება. (კენჭის ყრის შემდეგ ის ხუთი ხმა გაბათილებულად ცხადდება, შემდეგ ითვლიან ყველა პარტიების ხმებს ცალ-ცალკე. ცოტა ხნის შემდეგ სიმონი აცხადებს არჩევნების შედეგს). ამნაირად, ბატონებო: სოციალ-დემოკრატებს ეყოლებათ მოშვავლი ქალაქის თვითმართველობაში 14 ხმისანი, ესერებს—2, ნაც. დემოკრატებს—2, ს. ფედერალისტებსაც—2.

რებეკ. აჰ! (იკივლებს და გულ-შეწუხებული დაეცემა).

ნუგ. მიშველეთ, ექიმი! (ყველანი წამოცვივდებიან, ექიმი მაჯას უშინჯავს).

სამსონი. დაწყნარდით, ბატონებო. მე, როგორც ექიმს მენდეთ, არა უშავს რა, ნერვები დაუწყნარდება და ყველაფერი გაივლის.

ჩარ. (ღრიალით მივარდება). ვაიმე თავო დაღუპულო! რებეკა, რებეკა, რას შობი, რეიზა გვტიებ ობლად! მთელი ჩვენი გვარი იმ უკეთურთან სოციალ-დემოკრატებს გაჰყვა, თვით მთელი ჩემი ოჯახიკი, მხოლოდ შენ იყავ ჩვენი გვარის დამამშვენებელი და შენც გვღალატობ, სირცხვილი შენთვის!

რებეკ. (ლუღლუღით). არა ნუ გეშინიანთ, არ მოვკვდები. სოციალ-დემოკრატების ჯინაზე უნდა ვიცოცხლო.

ნუგ. დაიწყნარე ნერვები, ჩემო რებეკა, ჩემო რენეგატო. ეხლა გვჭირია შენი სიცოცხლე, რომ კიდევ მრავალი სოციალ-დემოკრატები გაარენეგატო. აბა გაახლე თვალები. (რებეკა მოსულიერდება და დგება. ფედერალისტები გარს ეხვევიან და ულოცავენ შშიდობით გადარჩენას).

სამსონი. ბატონებო დამშვიდდით და დასხედით თქვენ ადგილებზე. (ილ. ჟღენტს) აბა დავწეროთ ოქმი და მოვარჩენ ამ არჩევნების ხლიფორთს. (ილ. ჟღენტი, დავ. ჟღენტი და პოლიეკტი გაჩუმებულნი დგანან. ბოლოს ილ. ჟღენტი არღვევს სიჩუმეს და ვაი-ვაუის კუპლეტებს მღერის. მას სხვებიც აჰყვებიან.

ილ. ჟღენტი ნ. დ. რას ამბობ, ბატონო,
რაღა მეოქმება,
მარკოზა ფხალაძე
კაცო, გარეთ გეჭრება!
ვაი, ვაი, ვაი!

პოლიეკტი. სოციალისტურად,
ტაბორში ტაბორად,
ნუ თუ შენ გაშავდი,
რა ცოდვამ გიწია!
ვაი, ვაი, ვაი!

დავ. ჟღენტი. ნუ თუ ხმისნად მხოლოდ
გვყავდეს უნდა ორი,
აფხუსია გარეთ,
შაქრო ორატორი!
ვაი, ვაი, ვაი!

რებეკ. და ნუგ. } დავიღუპეთ, გოგო,
სადიკომ გვაჯობა
უი მას, ვაი მას,
ჭირი და გაქრობა!
ვაი, ვაი, ვაი!

სიმონი. დაიშალეთ აწი,
რაც მოხდა, წავიდა,
გაიგეთ ესდეკი
თოთხმეტი გავიდა!
ვაი, ვაი, ვაი!

დავ. ჟღენტი. ილ. ჟღენტი. პოლიეკტი. } ყველანი ერთად.
ეგ გვკლავს რომ ესდეკი,
თოთხმეტამდე გაძვრა,
ვიყაყანეთ ტყვილა,
ენას კანი გაგვძარა!
ვაი, ვაი, ვაი!

გოგია.

წერილი რედაქციის მიმართ

პასუხად მღ. ჯავახიას)**

მ. ჯავახიავ! გაზეთ „საქართველოს“, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ „საეკლესიო უწყების“ მე 178 ნომერში მოთავსებულია თქვენი წერილი ქ. ახალსენაკიდან, თავისუფალ ეკლესიის ქრისტიანულ კავშირის სახელით, სადაც ულრმეს გულისწყრომას მიცხადებთ, როგორც პიესა „ავტოკეფალიის“ ავტორს, მიტომ რომ ვითომ მე ამ პიესით შეურაცყოფა მივაყენე სარწმუნოებას.

თქვენმა პროტესტმა, მართალი მოგახსენოთ, მე დიდათ გამახარა, სჩანს ჩემი შრომა ტყუილად არ დაკარგულა და პატარა პიესა, „ავტოკეფალია“ სარკე გამხდარა თქვენი, როგორც კავშირის თავ-

---

*) იგულისხმეთ ესერების სიის მერვე კანდიდატი.

**) სამწუხაროდ ამ წერილის დაბეჭდვა ძალიერ დაგვიანდა, სხვა და სხვა, რედაქციისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

მჯდომარის ამხანაგის და მრავალი კრებაზე დამსწრე წევრთაგვის. თქვენ „ავტოკეფალიის" გგრი „ზოსიმეში", რომელიც თავის ხასიათან არშიყობაში, ჯ

 5 სმა გადღიმაში და ჯიბის გასქელებაზე ლაპარაკში ატარებს დროს, დაგინახავთ თქვენი თავი, რაიც კეშარიტად სასიამოვნოა ჩემთვის. აქედან აშკარაა თუ რაზე გაწყრებებულხართ ასე. რასაკვირველია არ გეპიტნავებოდათ თქვენ იმ ფარული და ბნელი საქმეების გამოძღვენება, როგორსაც მრავალი წლეების განმავლობაში იწარმოებდა სამღვდელოება და ისეთაც დაბეჩავებულ ხალხს თვალს უსვეედა. ის დრო წავიდა ბ. ჯავახიავ, როდესაც თქვენ შესახებ ძალიან ცოტა შეიძლებოდა თქმულიყო.

მე მიკვირს რომ აგაღელვათ ასე! რა არის იმ პიესაში ისეთი, რამაც თქვენი აღშფოთება გამოიწვია! ნუ თუ ტყუილია ის, რომ მღვდლების დიდი უმრავლესობა ხალხის გაგლეჯაზე და თავის ჯიბის გასქელებაზე ფიქრობს? ნუ თუ ტყუილია ის, რომ მღვდლები ეკლესიის დაბალ მსახურთ, როგორიც არიან მედავითნენი, იჯაბნიან, ხშირად არაფერს აძლევენ, თავის ჯიბეს ისქელებენ და ამ ნიადაგზე დაუსრულებელ ჩხუბს და ალიაქოთს აქვს ადგილი მღვდელსა და მედავითნეს შორის? ნუ თუ ტყუილია ის რომ მღვდლების დიდი უმრავლესობა, რომელნიც მედავითნენიცნან არიან გამოსულები „ავტოკეფალიის" მხარს უჭერენ იმ იმედით, რომ ეკლესია-სამონასტრო შემოსავალი ჩვენი იქნებაო და ამით არხეინად ვიცხოვრებთო.

მე ამ პიესაში მყავს გამოყვანილი მღვდელი, რომელიც ავტოკეფალიამდე ფედერალისტი იყო, მარა როცა მას მისი ძმისწული, ნამდვილი წმინდაწყლის ფედერალისტი უხსნის რომ ეკლესია-სამონასტრო მიწები, როგორც ყოველივე სოციალისტური პროგრამით, ისე ჩვენი პროგრამითაც ხალხის საკუთრებათ უნდა გადაიქცესო, ეს მღვდელს არ მოსწონს, ავდგს ძმისწულს სახლიდან და მედავითნესთან ერთად სასოწარკვეთილებაში ვარდება.

ეი ბიჭი სიუეტი პიესისა! ერთი მითხარით სად არის აქ სარწმუნოების შეურაცყოფა?

როგორც თქვენ სწერთ, შეიძლება მართლა ბევშვებმა ითამაშეს პიესა და როლის უცოდინარობით რაც მოადგათ პირზე ის წამოაყრინტალეს, მაგრამ განა ამაში ავტორია დამნაშავე?

მიკვირს ჭეშმარიტად, რომ ქრისტეს ჯვრის მატარებელს გაეიწყდებათ ქრისტეს მცნება და თქვენ მოყვასს ასე აღშფოთებით გულის წყრომას და რისხვას უგზავნით!

ბატონო ჯავახიავ! როდესაც საპროტესტო წერილსა სწერდით, რატომ არ შეიწუხეთ თავი და ერთი მაინც არ წაიკითხეთ ის თქვენგან ყბად აღებული პიესა „ავტოკეფალია", რომ ნამდვილი წარმოდგენა გქონოდათ პიესაზე?

ან იქნება თქვენ იმას უძახით სარწმუნოების შეურაცყოფას, რომ ჩემი პიესის ერთ-ერთ „ზოსიმე" თავის ხასას ეუბნება: „შენ ისეთა ... ბარ ჩემი, როგორც მარიამი იოსებისაო". განა ეს შეურაცყოფა არის სარწმუნოებისა? ეს შეურაცყოფა ხალხის და თუ გნებავთ სარწმუნოებისაც, რადგან თქვენ მას ამახინჯებთ და ხალხს ტყუილებითა ჰკვებავთ.

თქვენ არ გინდათ მართალი უთხრათ ხალხს დღესაც კი, თავისუფალ ხანაში ა კიდეც დიდხანს გინდათ ისარგებლოთ ხალხის შეუგნებელი ნაწილით, კიდევ დიდხანს გინდათ სვავებივით ასხდეთ ხალხს თავზე და სწიწკნოთ, მაგრამ უკაცრავთ, გაგიფრინდათ ის დრო, თქვენი ლილა უკვე გახუნებულია.

ასე რათა სწყრებით, ბატონო ჯავახიავ? მე განა თქვენივე სახარებით არა ვლაპარაკობ! განა თქვენ არ გიწერიათ სახარებაში ის, რომ იოსები მამა იესოსია, იოსები ქმარი მარიამისაო?

ნურას უკაცრავთ, მაგრამ ეს თქვენი პროტესტი სარგებლით დაიბრუნეთ უკან და ხალხის მოტყუვილებაზე კი ხელი აიღეთ, თორემ ის ხალხი, რომელსაც მრავალი წლობით წურბელასავით ეკიდებით, არ შეგარჩენთ თავის აბუჩად აგდებას და სასტიკათ გაგებინებთ პასუხს, თუნდაც ქერქი გამოიცვალოთ და თავისუფალი ეკლესია „იარლიკათ" მიიწეროთ.

„ავტოკეფალიის" ავტორი **გოგია.**

ამხ. რედაქტორო!

ამ ორი კვირის განმავლობაში ბ ნი „ისკანდერი „ეშმაკის მათრახის" ნომერში ორჯერ ეხებოდა ჩემს პიროვნებას. არ ვიცი რად ჩაუვარდა ამ კაცს ჩემი ენონი. შეიძლება იმიტომ რომ, სამი თვის განმავლობაში, რაც შემოძლია დავამტკიცო, რაც შემეძლო შეუსვენრად ვმუშაობდი ხალხის საკეთილდღეოთ და რადგან წინა ნომერში სრულიად დაუმსახურებლად ვარ გალანძღული, როგორც საამშ. კომიტეტის წევრი და მე 37 №-ში კი ვხედავ მხოლოდ კერძო ინტერესებზე აშენებულ ზღაპარს. ვიწვევ ბ ნ „ისკანდერს" საშედიატორო სამართალში. ჩემის მხრივ მედიატორებათ ვისახელებ ლადიმერ დათუნაიშვილს და მიხაკო მგელაძეს. მოპირდაპირესაც ვსთხოვ წამოაყენოს თავისი მედიატორე. საქმე გირჩევდ ადგილობრივად. სამეიატორო სასამართლოს რეზოლიუცია საესებით იქნება გამოქვეყნებული გაზეთში.

თუ ბ-ნ „ისკანდერი" ხუთი დღის განმავლობაში დღეიდან ამის გამოცხადებისა, არ წამოაყენებს თავის მედიატორეს, უფლებას ვიტოვებ ჩემს თავზე ვუწოდო მას ცრუ კორესპოდენტი.

გიორგი ჩხაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკინისგზო კარიკატურა.



პირველი შემთხვევაა ჩვენი ჟურნალის ისტორიაში ამგვარი კარიკატურის მოთავსება. ამიტომაც, თუ არ მცირე განმარტება, მკითხველი მას ვერც გაიგებს. მეტსაც ვიტყვი: ვერ გაიგებს არა თუ მკითხველი, არამედ ვერც კახეთის რკინის გზის მართველობა, რომლისთვისაც უმთავრესად დანიშნულია სურათი.

სურათზე აღნიშნულია კახეთის რკინის გზის ნაჭერი სადგურ საგარეჯოსა და ბადიაურს შუა.

გზის ერთ მხარეზე დახატულია სოფლები, რომლებიც ამ ნაჭერს გზისას დასწვდებოდნენ: საგარეჯო, გიორგი წმინდა, მარიამ ჯვარი, თოხლიაური, მანავი, ბურდიანი, ჩაილური*) და კაკაბეთი.

*) გაგეგონებათ თქმულება „ჩაილურის წყლის" შესახებ, რასაც ვერ ასცდება ვერც ეს კარიკატურა.

საგარეჯო, გიორგი წმინდა და მარიამ ჯვარი სადგურ საგარეჯოს სწვდება.

თოხლიაური, მანავი, ბურდიანი, ჩაილური და კაკაბეთი კი შუა ადგილას არიან. კახეთის რკინის გზის გამგეებმა ამ სოფლებისათვის განიზრახეს ბაქანის აგება და ორიოდ წელიწადს არჩიეს იმისათვის შესაფერი ადგილი. ბოლოს მოიფიქრეს და ააგეს ბაქანი საგარეჯოდან ოთხი ვერსის მანძილზე. არჩევანი ამ ადგილისა იმით არის დასაბუთებული, რომ ერთხელ აქ მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. სხვა უპირატესობა, თუ ღირსება მას არაფერი აქვს, თუ ანგარიშში არ მივიღებთ იმ უმნიშვნელო ფაქტს, რომ იქა ხტებიან ბ-ნი გიორგი გვაზავა და ჩვენი რედაქტორი პატივცემული ეშმაკი.

სოფ. მანავისა, ბურდიანისა, ჩაილურისა და კაკაბეთისათვის ეს ბაქანი იმდენათ არის გამოსადეგი, როგორც ჰაჰიეთისათვის.

რედაქტორი ეშმაკი, სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის № 1